**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

**ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლეში, № 8.

**ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ** მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

# ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

**ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს [illegible]

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:** [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡ—ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ, ᲮᲕᲐᲚ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ.

ᲐᲛ 1878 ᲬᲔᲚᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

Თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება Დროების" რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლ ში).

Გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба".*

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

| | | |
|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . . . . . . . . | 8 მან. | „ კაპ. |
| Ექვსის თვისა . . . . . . . . . . . . | 4 „ | 50 „ |
| Ოთხის თვისა . . . . . . . . . . . . | 3 „ | „ „ |

Უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ; თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

# ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

### ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(Ოფიციალური)

Დიდი მთავარის Დუნაის არმიის მთავარ-სარდლის ტელეგრამმა Დიდი მთავრის Კავკასიის არმიის მთავარ სარდლის სახელობაზედ.

Ღენერალ-მაიორის Კომაროვის (Არტანის) ატრიადმა, რომელიც თან-დათან Ა რ ტ ვ ი ნ ი ს ა კ ე ნ იწევს, ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ, მდ. Ა რ დ ა ნ უ ჯ ი ს ა და Ი მ ე რ - ხ ე ვ ი დ ა მ უკან დააწევინა მტერი; ატრიადი დაბანაკებულია ახლა Დ ა ლ ი ს - ხ ა ნ თ ა ნ. მდ. Ი მ ე რ - ხ ე ვ ი ს ხიდის მახლობლად და Ა რ დ ა ნ უ ჯ ი ს მთებზე.

Ამ ბრძოლის განმავალობაში ჩვენის მხრით 18 სალდათი დახოცილია და 50 დაჭრილი.

— Ამ დღეებში, Არზრუმის გარნიზონის შესამცირებლად, ოსმალოებმა ღამით პოლინტეკენის მთებით გაგზავნეს Არზრუმიდამ სამი ბატალიონი; მაგრამ 300 კაცი ამათში ისევ Არზრუმში დაბრუნდა ხელ-ფეხ დაყინულები და დანარჩენი კი სრულებით დაიღუპა სიცივისა და ბუქისაგან.

— ამათ 9 იანვარს ღენერალ-მაიორის Კომაროვის ატრიადმა საშინელს ბუქიანს ამინდში აიღო Ი მ ე რ - ხ ე ვ ი ს ხიდი და შემდეგ დაეცა Დ ა ლ ი ს - ხ ა ნ თ ა ნ გამაგრებულს მტრის ჯარს და დაამარცხა Ოსმალოები, რომელნიც იყვნენ სულ 8 ბატალიონი (2 რეგულიარული და 4 ირრეგულიარული); ისინი გაიქცნენ ზოგი Ა რ ტ ვ ი ნ ი ს ა კ ე ნ და ზოგნიც მთებში. ჩვენებმა დაატოვებინეს მტერს 1 მთის ზარბაზანი და ბევრი ტყვია-წამალი, თოფები და ბანაკი. Ზიანი ჩვენი: 2 მოკლული და 14 დაჭრილი სალდათი.

ᲨᲘᲞᲙᲐ, 10—12 Იანვარს. Ხ ა ს - Კ ი ო ი ს ა და Გ ე რ მ ა ნ ლ ი ს გზაზე ღენ. სკობელევისაგან გაგზავნილმა პოლკოვნიკ Პანიუტინმა, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, წაართვა მტერს 20,000 ურემი საგზალი და საომარი მასალები. Ამ დროს ჩვენის მხრით 4 აფიცერია მოკლული და 46 სალდათი.

Ამ საგზალს მიჰყვებოდა 6 ტაბორი Ოსმალოს ჯარის გარდა რამდონიმე ათასი დაიარაღებელი მცხოვრებელი თავიანთ ცოლ-შვილით, რომელნიც გაიქცნენ და წვრილ-ფეხობა კი ურმებზე მიატოვეს; ახლა დღეებს მოდიან და მიჰყავთ თავიანთი შვილები.

საუბედუროთ, მშვიდობიან მცხოვრებლებს დიდი ზიანი ეძლევათ, რადგან სულეიმან-ფაშის ბრძანებით, ისინი სწვენ, ანადგურებენ ყველა თავის საცხოვრებელს, სოფლებსა და ისე მირბიან; მე ყოველ ღონის-ძიებას ვხმარობ, რომ ეს მშვიდობიანი მცხოვრებლები თავის სახლში დარჩნენ, რადგან ჩვენი ჯარი ამათ ხელს არ ახლებს.

ᲨᲘᲞᲙᲐ, 12 Იანვარს. Ადრიანოპოლის დაჭერამდინ ღენ. სტრუკოვს ბაშიბუზუკებთან ჰქონდა რამდენჯერმე შეტაკება და ამ დროს ჩვენის მხრით 2 აფიცერია დაჭრილი და 19 სალდათი მოკლული.

Ადრიანოპოლში ბოლოს დარჩა Ახმედ-მიუხ-ფაშა 2,000 კაცით, და ჩვენი ჯარის მოახლოებისა-თანავე გავიდა ქალაქიდამ. Მაგრამ ქალაქის მიტოვებამდინ ოსმალოებმა აფეთქეს და დაანგრიეს ძველი სასახლე ხონთქრისა, თოფის-წამლის სარდაფები, დასწვეს აგრეთვე სურსათის მაღაზიები და სხვ. Ბაშიბუზუკები ცარცვავდნენ და ხოცდნენ მცხოვრებლებსა.

Ღენ. სტრუკოვმა შესვლისა-თანავე მშვიდობიანობა დაამყარა Ადრიანოპოლში, გარეკა ბაშიბუზუკები, ადგილობრივ საპატიო ხალხისაგან დროებითი მმართებლობა დაწყსა, რომლის თავსმჯდომარედაც დანიშნა Ადრიანოპოლის არხიეპისკოპოსი.

10 იანვარს Ადრიანოპოლში მივიდა ღენ. სკობელევი, რომელმანც იმ წამსვე გაგზავნა ჯარები Კ ი რ კ ი ლ ი ს, Ბ უ რ ღ ა ს ი ს ა და Დ ე მ ე ტ ი კ ი ს ა კ ე ნ. Ბუშინ ღენ. სკობელევისაგან მივიღე მე ფრანცუზულად დაწერილი დეპეშა.

Ეს არის ღენ. Გურკოსაგან მომივიდა ამბავი, რომ ჩვენ, 97 კი არა, 110 ზარბაზანი წავვართმევია Სულეიმან და Ფუად-ფაშის ჯარებისათვის.

—

ᲕᲔᲜᲐ, 12 Იანვარს. „Გოლოსის" დეპეშა. Გუშინ Ავსტრიის მმართებლობას მოუვიდა ამბავი, რომ Ოსმალეთმა მიიღო რუსეთისაგან შედგენილი მორიგების პირობები. Ავსტრია და სხვა სახელმწიფოები უცდიან პორტის გადაწყვეტილებას, მანამ კი ყველამ მებრძოლთ მიანება მორიგების გათავება, რადგან რუსეთმა გამოაცხადა, რომ ის ალიარებს სახელმწიფოების უფლებას, რომ ევროპის საქმეების გარიგებაში იმათაც აქვთ სრული ხმა.

# ომის ამბები

## აზიის ბრძოლის ველიდამ

ჩვენი ალექსანდრაპოლელი კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ ყარსიდამ მოყოლებული დევე-ბოინამდინ ჩვენმა ჯარებმა რამდენჯერმე გააკეთეს გზა, მაგრამ ყოველთვის თოვლმა გააფუჭა. ამ ჟამად აქ მხოლოდ ქვევითა ჯარის გზა არისო; მაგრამ ამ დღეებში იმედი აქვთ, რომ მარხილებისათვისაც გაიყვანენო.

ეს გარემოება, ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, ძალიან აბრკოლებს არზრუმთან დაყენებულს ჩვენს ჯარს; სამხედრო მთავრობა კი ყოველ ღონისძიებას ხმარობსო, რომ ამ ჯარს სურსათი და თბილი ტანისამოსი არ შემოაკლდესო.

—

გაზეთს „Обзоръ"-შიაც ამ გვარსავე ამბავს სწერენ ალექსანდრაპოლიდამ; ამ გაზეთის კორრესპონდენტი ამბობს, სხვათა შორის, რომ არზრუმთან გაჩერებული რუსის (სოღანლუღის) ატრიადი ძალიან დიდს გაჭირვებაში არისო, რადგან, თოვლისა და უგზოობის გამო, ყარსიდამ და ალექსანდრაპოლიდამ თავის დროზე საჭმელ-სასმელი და თბილი ტანსაცმელი ვერ მიუზიდნიათ ამ ჯარისათვისო.

—

„თფილისის მოამბესაც" ცუდ ამბებს აცნობებენ ალექსანდრაპოლიდამ: საშინლად გავრცელებული არის აქ სახადი და სხვა ავათმყოფობა, ბევრი იხოცებაო და შველა და დახმარება კი არსაიდამ არა სჩანსო.

—

გაზეთს „Голосъ"-ში დაბეჭდილია ოზურგეთიდამ 4 იანვარს გაგზავნილი დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ 31 გასულ დეკემბერს აქ მოვიდა ქობულეთის ატრიადის ახალი უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კამაროვი (?) და აქედამ მუხა-ესტატეში წავიდაო.

—

ვენის გაზეთის „Presse"-ის ქუთაისელი კორრესპონდენტი, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს იწერება ამ გაზეთში:

„იმის დასამტკიცებლად რომ კავკასიაში ცხარე ომი იყო მტერთან, შეიძლება მოვიყვანოთ მოკლული აფიცრებისა და სალდათების სია; ამ სიებიდამ ჩანს, რომ ყოველ 100 სალდათში საშუალო რიცხვით ექვსი აფიცერი არის მოკლული, და არა თუ მარტო პარუჩიკები, რომელნიც თავის გამოსაჩენად და უმაღლესი ჩინის მისაღებად პირ-და-პირ ეხეთქებიან ხოლმე მტერს, არა, ისეთი აფიცრებიც, რომელთაც პარუჩიკობაზედ გადაუჯნიათ და არა-ერთხელ უნახავთ მტერი ბრძოლის ველზედ."

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

შიპკასთან ბრძოლისა და აქაური ოსმალოს ჯარის (32,000 კაცის) დატყვევების დროს, რუსების მხრით მოკლული ყოფილა 10 აფიცერი და დაჭრილი 116; სალდათები დახოცილია 1,103 და დაჭრილი 4,246, სულ 5,464 კაცი.

მართალია, ეს დიდი ზიანი არისო, ამბობენ რუსის გაზეთები, მაგრამ თუ შევადარებთ ჩვენს გამარჯვებასთან, ეს ზიანი არაფრად ჩავარდებაო.

—

სტამბოლელი კორრესპონდენტი ფრანცუზულის გაზეთის „Temps"-სა სწერება:

„დღე არ გავა, რომ რამდენიმე ათასი კაცი არ მოვიდეს აქ ფილიპოპოლიდამ და ადრიანოპოლიდამ; როგორც ეტყობა, ამ ვილაიეტების ხალხი ძალიან დაფთხობილა მტრისაგან. განსაკუთრებით ბევრი მოდიან დედა-კაცები და ყმაწვილები.

„მე მითხრეს, რომ ამ უკანასკნელი სამი დღის განმავალობაში 20.000 სული მოიყვანეს რკინის გზით სტამბოლშიო. რკინის გზის სტანციებზე ათასობით მოგროვილა თურმე ხალხი, ძალით ჯდებიან ვაგონში და მორმიან მშიერები და ტიტვლები, ოღონდ კი რუსის მოსვლას გამოექცნენო.

„ოსმალოს მმართებლობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ რითიმე შეუმსუბუქოს ამ საცოდავ ხალხს ხვედრი; მაგრამ მარტო ვერას შეიძლებს, რადგან ამჟამად სტამბოლში საშინელი სიძვირეა როგორც ფქვილისა, აგრეთვე ხორაგისა. ინგლისის ელჩის ცოლმა ლეიარდმა 12,000 კაცს უპატრონა, სახლ-კარი და საჭმელ-სასმელი გაუჩინა."

## მორიგების თაობაზე

— ლონდონის გაზეთი „Morning Post" გვაცნობებს, ვითომც ინგლისსა და ავსტრიას გამოეცხადებინოსთ რუსეთისათვის, რომ ისინი კანონიერად არ ალიარებენ რუს-ოსმალოს მორიგების პირობებს, თუ ეს პირობები ამ სახელმწიფოების თანხმობით არ იქნა შეკრული და დამტკიცებული.

## „დროების" კორრესპონდენცია

ქიზიყი, 9 იანვარს. ჩვენი უბედურობა ის არის, რომ სხვას უშლით, სხვას ვარიგებთ, ბევრსა ვკიცხავთ, მრავალთა ვერწთნით,—მაგრამ ყოველ-გვარ საქმეში უკანონოთ, წინააღმდეგ ჩვენი სიტყვებისა, და ხანდისხანაც უსინიდისოთ მრავალ უსამართლობას ვთესთ.

ჩვენმა ხალხმა დაკარგა მინდობილობაც, აღარა-ფერი სწამს იმას, გონება-დახშულს; იმედება მომავლისა, სახვალიო სიკეთე მისთვის უჩინმჩენელნი არიან; ამისთვის რომ ზოგიერთნი მისი წარმომადგენელნი, მისი ბრძანებლები, ხალხის-გამმართავები სიტყვასა და საქმეს შუა [illegible] არსა სდებენ,—რომ ისინი სიტყვას არ აჰორჩილებენ თავიანთ საქმეს, რომ ყოველ-გვარ უსამართლობას, უკანონო ქცევას, სიცრუეს და მოუთმენელ გალაღებას კანონიერ ჭეშმარიტების ძალას აძლევენ..

ყოველი კაცი, ორ წელს შემდეგ ჩვენში საზოგადო გაფუჭებულს ტალახში სდგამს ფეხს და იქიდგან ამოსვლას აღარ ფიქრობს, სანამ სიკვდილი არ უწრობს. ის ბედნიერი ბედიც—სიკვდილი დაიგვიანებს ხოლმე, თორემ, თუ ყოველ წლის თავს იცოდეს მან ჩამოვლილი რევიზიაზე, მაშინ ჩვენებური მღაღადებელი უსამართლობა, გათამამებული მზაკვრობა ჩილუმ წყალს მიართმევდა და გეშველებოდა რამე...

რამდენი სინიდისიანი პირი მოითმენს, რომელი გული აიტანს მაგალითად ქვემოიყვანილ უსამართლო ქცევას:

ლეკები რომ ჩვენ დაგვესივნენ, ხომ მილიცია გაგზავნეს ალაზნისაკენ; ის მილიცია აქამდისინ იქა დგა; მილიცია სოფლებიდგან გავიდა. ყველა მილიციონერს ეძლევა სახელმწიფო ფული 15 მან.; ეს არის იმათი ხარჯიცა, შენახვაც, ჩაცმაც და დახურვაც. თურმე ზოგიერთმა ახლად დანიშნულმა კამანდირებმა ინებეს აქაც მოხერხება და საკუთარი ჯიბების გატენა; თითო მილიციონერს ურიგებენ თვეში 3 მანეთს, იმასაც ისე, ხან 30 კაპ., ხან 15, ხან 20 და სხვ. უკლებენ და სრულიად სამ მანეთსაც არ აძლევენ.

ერთმა მ ე ლ ა ნ უ რ მ ა კაცმა ვეღარ მოითმინა, შიმშილი და სიცივე ვეღარ აიტანა, და შესთხოვა, რომ ის შეპირებული 3 მან. მიეცეთ მისთვის. კამანდირმა იწყინა:—როგორ თუ ჩვენ ბრწყინვალებას შენ, ვიღაცა მელაძის გაუზრდელმა მუჟიკმა, უბედური ბიწიერი შენის ენით მოთხოვნა ფულისა, რომლის მიცემაც ჩვენ ბრწყინვალებას არ დაუნახამს საჭიროთაო! წააქციეს და ლამაზათ გაროზგეს... ტყუილი არ გეგონოთ: გ ა რ ო ზ გ ე ს. მაგრამ განა არ შეეძლოთ გაეროზგათ: ჯარიანობის დროს სამხედრო დისციპლინის გადასვლაზე კიდეც ხეზე ჰკიდებენ და შიმშილი, პური ჭამა და უფრო მომეტებული მასლაათი ხომ კიდევ დისციპლინის დამარღვეველადაც არისო!

ერთი კიდევ და მოვრჩები წერას, თორემ სულ რომ მოვყვე, ხომ მთელ წელს ვერ გავათავებ.

სოფლიდგან კაცებს თხოულობენ სამილიციოთ. სოფელი მსწრაფლად ასრულებს: კაცები მიდიან და ისევე უკან აბრუნებენ: კაცები არ გვინდა, კაცების ბადლათ ფულები შემოიტანოთო! რადგან სოფელში კაცები კიდევ იპოვება და ფული კი სრულიად აღარსად, სოფლები ძრიელ თავს-ცემას შეუდგებიან ხოლმე.

ყველა ცვლილება, ყველა რეფორმა ჩვენში ისე არ მიდის, როგორც კანონი

მოითხოვს რადგანაც ყოველთვის ღარისეულ კაცები, ხელში არ არის იმათი ღსრულება. ბევრი ცოტანი გამოადგნენ ჩვენ ხალხ, ცოტანი ეძებენ სინიდისიან ქცევა. შაქრო ვაჩნაძეს სიკვდილი მაგალითათ გაუხდათ და მით სარგებლობენ ზოგ-ზოგი გატყლარჭული მებატონეები, რომ ხალხს ჩაუნერგონ შიში და მოკრძალევითი პატივისცემა. „შაქრო ჩვენი მოჩილი არ იყო და ნახეთ რა დავმართეთ: სუდში ერთი კაცი არ წამოდგა იმისკენ... თქვენც ეგ გახსოვდეთ, ძროხებო!.“

***

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი

5 (17) იანვარს გაიხსნა ინგლისის პარლამენტი. ჩვეულებისამებრ, ყველაზე პირველად სხდომაზე წაიკითხეს კოროლევის ვიქტორიის ესრედ-წოდებული „ტრონის სიტყვა,“ რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი აზრი არის გამოცხადებული:

„დღემდინ არც ერთ მებრძოლ მხარეს არ დაურღვევიათ ბრიტანიის ნეიტრალიტეტი და ინტერესები. ინგლისის მმართებლობას იმედი აქვს, რომ ეს ინტერესები შემდეგშიაც დაცულნი იქნებიან და რაიმე ისეთს არაფერს ჩაიდენს, რომ ინგლისისათვის დამაზიანებელი იქნეს.

„ინგლისის მმართებლობა ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, რომ ეს ომი მალე გათავდეს, რომ მებრძოლთ შორის მშვიდობიანობა ჩამოაგდოს. მაგრამ შესაძლებელი, რომ პოლიტიკურ და ბრძოლის საქმეებმა სრულებით მოულოდნელი მოვლენა მიიღოს, — და ამ მოულოდნელ შემთხვევისათვის მმართებლობა გთხოვს თქვენ საჭირო კრედიტს...“

## იტალია

იტალიის ტახტზე ახლად ასული კაროლი ჰუმბერტი 1844 წელს დაბადა; მაშ სადამე ახლა 33 წლის ყოფილა. 1868 წელს შეირთო იმან ფერდინანდ სავოიის გერცოგის ქალი მარია მარგარიტა, რომლისაგანაც მეორე წლიწადს ეყოლა ახლანდელი მემკვიდრე იტალიის ტახტისა პრინცი ვიქტორ ემმანუელი.

ამბობენ, რომ ჰუმბერტი ძალიან მეგობრულს განწყობამი არის გერმანიასთანაო და ეს გარემოება საფრანგეთს აშინებსო. ეს მართალია; იმის მეგობრობა ბისმარკთან და საზოგადოთ გერმანიასთან დაიწყო 1872 წლიდამ, როდესაც ის მოგზაურობდა გერმანიაში; ბევრი თანაკრძალობლები და მეგობრები შეიძინა მაშინ.

მაგრამ საფრანგეთს ამ მეგობრობის არ უნდა ეშინოდეს. თვითონ ჰუმბერტმა სთქვა, რომ საფრანგეთი მხოლოთ იმ შემთხვევაში ზედამიმტერებს მე და დამაკავშირებს გერმანიასთან, თუ იგი კლერიკალურ მმართებლობას დააფუძნებს და რომის პაპის საერო უფლების აღდგენას მოინდომებსო.

თავის ტახტზე ასვლის დროს იტალიის ახალმა კაროლმა შემდეგი პროკლამაცია გამოსცა:

„უეცარი, მწარე უბედურობა გვეწვია ჩვენ: სიკვდილმა მოგვტაცა იტალიის შემაერთებელი კაროლი ვიქტორ ემმანუელი.

„მე დავესწარ იმის უკანასკნელ ამოსუნთქვის დროს; თავის უკანასკნელს სიტყვებში იმან გამოხატა იტალიის ხალხის ბედნიერების და თავის უფლების სურვილი. მე იმის ანდერძის ასრულებით უნდა ვინუგეშო თავი.

„მე მივსდევ იმ მაგალითს, რომელიც ჩემმა მიცვალებულმა მშობელმა მიჩვენა; ერთგული ვიქნები სამშობლოსა, ხალხის თავისუფლებისა და კონსტიტუციისა ერთად ერთი ჩემი თავმოყვარეობა და ნატვრა ის იქნება, რომ იტალიის ხალხის სიყვარული დავიმსახურო.

„იტალიელებო! თქვენ მოგიკვდათ პირველი კაროლი იტალიისა. იმის მემკვიდრე-დაგიმტკიცებთ, რომ კონსტიტუცია არ კვდება.

„შეერთდით ყველანი ამ საზოგადო მწუხარების ჟამს! ნუ დავკარგავთ ძმობასა და ერთობას, რომელმაც აღადგინა ჩვენი სამშობლო იტალია!“

— ამბობენ, როცა რომის პაპმ შეიტყოვო, რომ ვიქტორ ემმანუელი მოკვდაო, შემდეგი სიტყვები წარმოსთქვაო:

„— მე ვაპატიე იმას და იმის სულისათვის ვილოცავ!“

# საბაასო

### თელაველ კორრესპონდენტს ა. შ—ს

„დროების“ № 224—1877 წლისა წავიკითხე მე წერილი რედაკტორთან, რომელშიაც უფალი ა. შ. იწყებს შემდეგის სიტყვებითა გულმტკივნეულად:

„ეჰ რა დრო მოგვივიდა, ყველანი ჯავრობენ, მართალს ნუ იტყვიანო! მე მგონია, რომა ტყუილის თქმა უფრო სირცხვილი იყოს...“ და აგრძობს თავის წერას ასე:

„ამას წინათ ერთს „დროების“ ნომერში იყო დაბეჭდილი სტატია, რომელშიაც თელავის კორრესპონდენტის სიტყვებით საზოგადოება ემდუროდა ადგილობით ხაზინადარს იმაზედ, რომა პატენტების და სხვა მოწმობების მოცემის დროს ვაჭრობის უფლებაზედ ხაზინადარი არ აძლევს დარიგებასო, თუ ვის რომელი დოკუმენტი ეკუთვნისო...“

რომ არ გავავრცელო ლაპარაკი საზოგადოთ ხაზინის მოვალეობაზედ და მით არ დავღალო ვისიმე ყურადღება, ვიტყვი საზოგადო გამოხატულებით საკუთრათ იმ საგნებზედა, რომელნიცა შეეხებიან მოვაჭრე ხალხთა.

ხაზინასა აქვს თავის მთავრობის მოწერილობა (предписаніе Казенной Палаты, 12 Августа 1876 г. № 13,222), რომა იგი არ უნდა შევიდეს [illegible] სამე განსჯაში, თუ რომელ [illegible] მა რა გვარი დოკუმენტი უნდა გაიტანოს; ეს უნდა გამოაცხადოს ან თითონ მოვაჭრე პირმა და ან საქალაქო დეპუტატმა კვიტანციაში. როცა მთავრობამ მოახდინა ამ გვარი განკარგულება, მას ჰქონდა სახეში ის გარემოება, რომ ხაზინამ არ იცის ვის რა გვარი ვაჭრობა აქვს, მაშასადამე არც ის იცის, თუ ვინ რა გვარი დოკუმენტი უნდა გაიტანოს.

და რა დანაშაულობა აქვს ხაზინადარსა, რომ უფ. ა. შ. ასე უწყალოთ ემდურის და სხვის მოვალეობას ხაზინადარს აკისრებს! (პოლიციის ვალია). წინეთ, ვიდრემდის ხაზინადრის ქებას ზექედში აფრენდა, უმჯობესი არ იქნებოდა შემოსულიყო ხაზინაში, ნამდვილი გაეგო და ასე ხალხი არ აღელვებინა!

გარდა ამისა, უფ. ა. შ. ამბობს, რომ რადგანაც, ვითომც მე ვარ გაჯავრებული იმაზედ, ამისთვის ვიყარე ჯავრი და პოდოროჟნა არ მივეცი; ამასთანავე მიმართავს ხაზინის წესსა, რომა რომელიც მე ამას დოკუმენტი მოვსთხოვე პოდოროჟნისათვისა, ის დოკუმენტი უნდა მოვსთხოვო იმათა, რომლებთაც მე ვერ ვიცნობ, და რადგან მე ამ ა. შ. დაახლოებით ვიცნობ და საზოგადოებაშიაც ერთად ხშირათ ვართ, ამისათვის უარი არ უნდა მეთქვა.

ეს ყოვლითფერი სიცრუვე არის: ჯერ ერთი ისა, რომ ხაზინის წესებში არსად არ არის მოხსენებული, რომ ხაზინადარმა უნდა მისცეს პოდოროჟნა უდოკუმენტოდ იმათ, ვისაც თითონ იცნობს; არამედ ხაზინა აფუძნებს დოკუმენტის მოთხოვნილობასა უმაღლესის მთავრობის განკარგულებაზედა (циркуляры Министра Внутрен. дѣлъ, 11 ноября 1873 г. № 177 и Каз. Пал. 18 Января 1874 г. № 296.) და ან ვისა აქვს ის განუსაზღვრელი უფლება, რომ ხაზინადარს დაატანოს ძალა უფლოთ იცოდეს, რომ პოდოროჟნის გატანისა არა აქვს-რა იმისთანა საქმე. რომელიც არ აბრკოლებს აწინდელი ცხოვრების ადგილიდგან გარეთ გასვლისა!

დღესაც არ ვიცი — ვინ არის თელავის კორრესპონდენტი და ამისათვის ჩემგან დიდი შეცდომილობა იქნება, რომ არ ვიცოდე ნამდვილი, დავაბრალო სხვასა და უკმაყოფილო შევიქნა და ამისათვის ვისზედ უნდა დავამყარო ჩემი აზრი: არა ეს არის და არა ის-მეთქი.

მე დარწმუნებული ვარ, რომა უფალი ა. შ, როგორც მჭევრმეტყველი გვამი, აიღებს კალამს და თავის ტკბილ ხმოვანის სიტყვებითა შესთხზავს ჩემსთვის „ოდას“ მე-კი საყვარლად დავუკრავ თავსა და გამოვეხალმები სრულიადაო; მაგრამ მაინც კეთილის გულით ურჩევ, რომ თუ როდისმე ხაზინაში მოვიდეს პოდოროჟნისათვის, თან მოიტანოს საჭიროვანი დოკუმენტი და ნუ დაემყარება მარტო ხაზინადარის ხშირათ ნახვასა და თუ წინეთ

ან ამასა და ან სხვასა პოლოროჟნა გაუტანია ხაზინიდამ როდისმე უდოკუმენტოთ, ეს მხოლოდ უწესური შეცდენაა ხაზინისა და თვის წესზედ გარდამავალობა და არა ხაზინადართან მეგობრობა.

თელავის ხაზინადარი

6 იანვარს, თელავი

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილებისა.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობით და შაბათობით 12 სა. თიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ. მ12მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და პარასკევობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

## ახალი ტაქსა ბირჟის იზვოშჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქირის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებით ტაქსა:

| | ფაეტონის | დროჟკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება | 1 მან. 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ.— | 2 „ — | „ 1 მან. 50 „ |
| —დამოქნამდინ— | 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან | 1 „ — | „—„ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ.— | „ 80 | „—„ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ რკინის გზამდინ | 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| და უკან — — — | 1 „ 30 | „—„ 90 „ |

შენიშვნა ა). ორ ფუთამდინ ბარგისათვის იზვოშჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

# განცხადებანი

იყიდება
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ეშმაკის ხარო
მდაბიური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

ჩაის მაღაზია

## პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მოედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

რაჟდენ ბ. დ. ნიძე

ქუთაისში—ბალახვანში იყიდება

## სამოსახლო ადგილები

ერთად და ცალკ-ცალკე.

უფრო დაწვრილებით შეტყობა შეიძლება ქუთაისში სვიმონ ივანეს ძეს მესხთან და თფილისში ელისაბედ ს. მარჯანოვთან (არსენალის ქუჩაზე, № 56), ზამაზოვის სახლები.

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს თბილისის საქალო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ დროით შემოიტანონ მომავალის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. ფული უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოების კაზნაჩეის, ვახტანგ დიმიტრის ძეს თულაშვილს, თბილისის ოკრუჟნი სუდში, დილის 10-ს საათიდამ ნაშუადღევის 2-ს სათამდე.

მიეცემა

## სასესხებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან-ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ვისაც ჰსურს თავის რქიანი საქონელი და ღორები მარგებელი საკვებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოდში.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | | 38 |
| გორი . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | [illegible] | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ოთშ. ახალქ.—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ოთშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

## ბირჟა

| პეტერბურგი, 11 იანვარს. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი ქაღალდი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 263 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველის ს | 232 | [illegible] |
| მოგებიან. (მეორე სესხი) | 229 | 5 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის . . | 83 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკური. . | 225 | — |
| პიოვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

## მაზანდა

| თფილისი. 10 იანვარს; | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 2 | 15 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 45 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 80 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | 60 |
| მატყლი თუშური ფუ. | 8 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 1 | 90 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 90 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბოლც. ფუთი . | 9 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 8 | 60 |
| ყავა გოგვალი, ფუთი . | — | 75 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 20 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Января 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ნ. ნიკოლაძე. რედაქტორი ს. მესხი.